KA030180500212819

№ 01-1534 **15 / თებერვალი / 2019 წ.**

ანალიტიკის, ადამიანური რესურსების
მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობების
დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ სოფიკო ბელქანიას

ქალბატონო სოფიკო,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტმა განიხილა თქვენი მიმდინარე წლის 7 თებერვლის №01-1206 წერილი, რომელიც შეეხება საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ გამოთხოვილ ინფორმაციას გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით.

როგორც მოგახსენებათ, 2019 წლის 1-ლი იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ განსაზღვრული ვალდებულებები, რომელიც ითვალისწინებს სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას დაქვემდებარებული პროექტების ადამიანის ჯანმრთელობაზე შესაძლო ზემოქმედების შესწავლისა და სკოპინგის („პროცედურა, რომელიც განსაზღვრავს გზშ-ისთვის/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისთვის მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალს და ამ ინფორმაციის გზშ-ის ანგარიშში/სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ანგარიშში ასახვის საშუალებებს) დასკვნის გაცემას.

ამასთან, კოდექსის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად:

„3. გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას განეკუთვნება:

ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სტრატეგიული დოკუმენტის სგშ-ისადმი დაქვემდებარების შესახებ გადაწყვეტილების მიღება;
ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის პროცესში სკოპინგის განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა და სკოპინგის დასკვნის გაცემა;
გ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში სგშ-ის ანგარიშთან და სტრატეგიულ დოკუმენტთან დაკავშირებით რეკომენდაციების შემუშავება;
დ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში, ინფორმაციის საჯაროობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“.

რამდენადაც გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით განსაზღვრული მოვალეობები სრულიად ახალი დატვირთვის და სირთულისაა, მოითხოვს შესაბამის კომპეტენტურ ადამიანურ რესურსებს და სერიოზულ ფინანსურ უზრუნველყოფას, რომლის შესაძლებობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ამ ეტაპზე არ გააჩნია და არ არსებობს შესაბამისი სტრუქტურა, რომელიც ამ მოვალეობებს აღასრულებს, მიზანშეწონილად ჩაითვალა, აღნიშნული ვალდებულებების 1 წლით გადავადების თაობაზე კანონპროექტის ინიცირება.

ყოველივე აღნიშულის გათვალისწინებით, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ საქართველოს მთავრობის ელექტრონულ სისტემაში ატვირთულ „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ ცვლილებების კანონპროექტის განხილვისას მიწოდებულ იქნა წინადადება, სამინისტროს ვალდებულების 1 წლით გადაწევასთან დაკავშირებით (03.12.2018 № 01/10541-ს). ზემოაღნიშნული კანონპროექტის (გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული ცვლილებების) შეთანხმების პროცედურის უშედეგოდ დასრულების გამო, ვერ მოხდა ჩვენს მიერ ინიცირებული გადავადების წინადადებების გატანაც.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კოდექსით გათვალისწინებული ვალდებულებების ამოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემის მოგვარების მიზნით, მიმდინარეობს კონსულტაციები სამინისტროზე

დაკისრებული ვალდებულებების გადანაწილების/დაკისრების პროცედურურლი ასპექტების განხილვისა და შეთანხმების მიზნით.

მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დამატებით გაცნობებთ.

პატივისცემით,

ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის უფროსი, პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

მარინა დარახველიძე